პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ვიანოვა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: თეა ლილუაშვილი

წევრები:

თამარ ახალაძე

ქეთევან გელაშვილი

მარინე გვრიტიშვილი

ხათუნა წერეთელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(რუსთავი, 2019)

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ვიანოვა

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

საიდენტიფიკაციო კოდი: 416343530

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის დირექტორის 2019 წლის 26 ივლისის N654 ბრძანების საფუძველზე განხორციელდა ვიზიტი შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ვიანოვაში მიმდინარე წლის 21, 22 და 23 აგვისტოს ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. ვიზიტის პირველი დღე დაეთმო კოლეჯის მარეგულირებელი დოკუმენტაციის, პროგრამების, მატერიალური რესურსის და საბიბლიოთეკო რესურსის გაცნობას და პროგრამების (საფინანსო სერვისები, ფლორისტიკა, აღმზრდელი) ხელმძღვანელებთან გასაუბრებას, ვიზიტის მეორე დღეს ჩატარდა ინტერვიუები საფინანსო სერვისების, აღმზრდელის და ფლორისტიკის განმახორციელებელ პერსონალთან, ექსპერტები გაეცნენ აღნიშნული 3 პროგრამის პარტნიორ ორგანიზაციებს, ჩატარდა ინტერვიუები ხორცისა და ხორცპროდუქტების წარმოების და პურ-პროდუქტების წარმოების პროფესიული საგანმანათებლო პროგრამების ხელმძღვანელებთან, შემოწმდა აღნიშნული პროგრამების განსახორციელებლად საჭირო მატერიალური და საბიბლიოთეკო რესურსები. ვიზიტის მესამე დღე დაეთმო კოლეჯის პარტნიორი ორგანიზაციების (პრაქტიკის ობიექტების) გაცნობას და კოლეჯის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებთან გასაუბრებას. ასევე ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტის პერიოდში გამოვლენილი გარემოებები გააცნო კოლეჯის წარმომადგენლებს და მოისმინა მათი არგუმენტები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(რუსთავი, 2019)

მდგომარეობა (ახალი/ არსებული)	**სტუდენტების მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა**	**საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა**	**საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა**	**შენობა-ნაგებობების ფართი**	**მისამართების რაოდენობა და მდებარეობა** (ერთ მისამართზე/სხვადასხვა მისამართზე ერთ მუნიციპალიტეტში/ სხვადასხვა მუნიციპალიტეტში)
ახალი	115	5	47	455,536 მ^2	რუსთავი, ბოსტანქალაქის ქ N3

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



(რუსთავი, 2019)

III. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

სტანდარტი		ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი	სტანდარტი დაკმაყოფილებულია	სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული
1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები		**მუხლი 6**	☐	■
1.1	დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.	**მუხლი 6 / პუნქტი ა)**	☐	■
1.2	დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), რომელშიც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ.	**მუხლი 6 / პუნქტი ბ)**	■	☐
1.3	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო	**მუხლი 6 / პუნქტი გ)**	■	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(რუსთავი, 2019)

	დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.			
1.4	დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე, მიღებული განათლების აღიარების წესები.	**მუხლი 6 / პუნქტი დ)**	■	□
1.5	დაწესებულებას შემუშავებული აქვს, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები.	**მუხლი 6 / პუნქტი ე)**	□	■
1.6	დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.	**მუხლი 6 / პუნქტი ვ)**	■	□
2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი		**მუხლი 7**	□	■
2.1	დაწესებულების საკუთრებასა ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:	**მუხლი 7 / პუნქტი ა)**	□	■
2.1.1	ერთ მისამართზე 400 კვ.მ შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის შესაბამისი საბჭო გადაწყვეტილებას იღებს 100 პროფესიულ სტუდენტზე ნაკლებ კონტინგენტიანი დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ;	**მუხლი 7 / პუნქტი ა.ა)**	■	□
2.1.2	სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;	**მუხლი 7 / პუნქტი ა.ბ)**	□	■
2.2	დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები;	**მუხლი 7 / პუნქტი ბ)**	■	□

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.3	დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას;	**მუხლი 7 / პუნქტი გ)**	■	□
2.4	საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე, დაწესებულების მართვაში;	**მუხლი 7 / პუნქტი დ)**	■	□
2.5	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა;	**მუხლი 7 / პუნქტი ე)**	■	□
2.6	დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	**მუხლი 7 / პუნქტი ვ)**	□	■
2.6.1	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.ა)**	■	□
2.6.2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.ბ)**	■	□
2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.გ)**	□	■
2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.დ)**	■	□
2.7	დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის;	**მუხლი 7 / პუნქტი ზ)**	□	■
2.8	ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას; მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი;	**მუხლი 7 / პუნქტი თ)**	■	□
2.9	შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.	**მუხლი 7 / პუნქტი ი)**	■	□

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(რუსთავი, 2019)

3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი		**მუხლი 8**	☐	■
3.1	დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს;	**მუხლი 8 / პუნქტი ა)**	■	☐
3.2	საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი;	**მუხლი 8 / პუნქტი ბ)**	☐	■
3.3	პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი შეირჩევა კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.	**მუხლი 8 / პუნქტი გ)**	☐	■

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

საუკეთესო გამოცდილების მაგალითები ვიზიტისას არ გამოვლენილა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



(რუსთავი, 2019)

V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

1.1 ქვესტანდარტი

ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას "საფინანსო სერვისები" არ აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა. კერძოდ, პროგრამის სასწავლო გეგმაში არ არის დაცული წინაპირობა.

მოდულის „სავაჭრო ობიექტებში მომხმარებლის მომსახურება და პროდუქციის კონტროლი" ბოლო ორი კვირა ემთხვევა „საწარმოო პრაქტიკის" მოდულს, რომლის წინაპირობას წარმოადგენს ყველა სპეციალიზებული/დარგობრივი მოდული და სასწავლო გეგმაში მითითებულია, რომ მოდულს - „საწარმოო პრაქტიკა" წინაპირობა არ აქვს.

1.5 ქვესტანდარტი

კოლეჯის რეგულაციის თანახმად იმ შემთხვევაში, თუ პროფესიულ სტუდენტებს სურვილი აქვთ სწავლა განაგრძონ სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში, კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიული პროგრამის მილევად რეჟიმში სწავლებას ყველა მსურველის გადაყვანის პროცესის დასრულებამდე, ხოლო <u>კოლეჯის მიერ სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან დადებული მემორანდუმის (შეთანხმების)</u> საფუძველზე პროფესიული სტუდენტები უზრუნველყოფილი იქნებიან სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლისა და მათი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის აღიარების უფლებით.

ზემოთ აღნიშნული ჩანაწერის მიხედვით, დაწესებულებას უნდა ჰქონდეს მემორანდუმები(შეთანხმებები) გაფორმებული ყველა იმ პროგრამის განმახორციელებელ დაწესებულებებთან, რომლის განხორციელებასაც თვითონ გეგმავს.

საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმი არ ითვალისწინებს ისეთ შემთხვევებს, როცა ყველა პროგრამა არ ხორციელდება სხვა დაწესებულებებში და დაწესებულება ვერ დებს მემორანდუმებს (შეთანხმებებს) პროფესიული სტუდენტის სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის უზრუნველყოფისთვის. საჭიროა დაწესებულებამ განსაზღვროს, როგორ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა შემდგომ განათლებას თუ მსგავსი პროგრამა არ ხორციელდება სხვა დაწესებულებაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



(რუსთავი, 2019)

2.1 ქვესტანდარტი

სასურსათო პროდუქტების წარმოების პროფესიული პროგრამებისთვის (პურ- პროდუქტების წარმოება; ხორცის და ხორც-პროდუქტების წარმოება) დაწესებულებას C გარემოს შესაბამისი აღჭურვილობა არ გააჩნია. ასევე პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული მემორანდუმები არ ითვალისწინებს რა რაოდენობის პროფესიული სტუდენტისთვის, რა რესურსები იქნება ხელმისაწვდომი, ასევე მემორანდუმებში არ კონკრეტდება მოდულები, რომლის შედეგების მიღწევა იქნება უზრუნველყოფილი პარტნიორ ორგანიზაციაში.

ვინაიდან პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო C გარემო და შესაბამისი აღჭურვილობა არ გააჩნია დაწესებულებას, პროგრამის მდგრადობისთვის საჭიროა ზოგადი ხასიათის მემორანდუმების ნაცვლად, არსებობდეს პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, სადაც დეტალურად გაიწერება მისაღები პროფესიული სტუდენტების რაოდენობა; მოდულები, რომლის ფარგლებშიც ითანამშრომლებენ მხარეები, დაკონკრეტდება მატერიალური რესურსები, თუ რა აღჭურვილობასა და მანქანა-დანადგარებთან ექნებათ წვდომა პროფესიულ სტდენტებს, განისაზღვრება პროფესიულ სტუდენტთა სწავლებასა და შეფასებაზე პასუხისმგებელი მხარეები და პროცედურები.

2.6 ქვესტანდარტი

კოლეჯის მარეგულირებელი დოკუმენტების მიხედვით კოლეჯს აქვს სამედიცინო კაბინეტი. კოლეჯის სამედიცინო კაბინეტი განთავსებულია ფართში, რომლით სარგებლობის უფლება არ აქვს დაწეებულებას, ასევე კაბინეტში არსებული ინვეტარი არ წარმოადგენს კოლეჯის საკუთრებას.

2.7 ქვესტანდარტი

კოლეჯის სარგებლობაში არსებული სველი წერტილები არ არის ადაპტირებული.

3.2 ქვესტანდარტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



(რუსთავი, 2019)

პროფესიული პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის კვალიფიკაციები არ შეესაბამება დაწესებულების მიერ შემუშაებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

3.3 ქვესტანდარტი

პროგრამის განმახორციელებელ პირებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება არ ითვალისწინებს შრომის კოდექსით განსაზღვრულ არსებით პირობებს (სამუშაო ადგილი და შვებულების ხანგძლივობა და მიცემის წესი);

VI. რეკომენდაციების შეჯამება

1.1 ქვესტანდარტი

- შემუშავდეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების და მასში ცვლილების შეტანის პროცედურა. პროცედურა გაიწეროს იმგვარად, რომ პროგრამის შემუშავების და მისი შემოწმების ვალდებულება ერთსა და იმავე საშტატო ერთეულს არ ჰქონდეს, რაც დაეხმარება დაწესებულებას გამორიცხოს/შეამციროს ტექნიკური უზუსტობების რაოდენობა პროგრამაში და უზრუნველყოს პროფესიული პროგრამების სტანდარტებთან შესაბამისობა.
- შემუშავდეს სსს მქონე პროფესიული სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცედურა.
- პროფესიულ პროგრამებში გასწორდეს ტექნიკური უზუსტობები.
-პროფესიული პროგრამების მდგრადობის უზრუნვეყოფის მიზნით მნიშვნელოვანია დაწესებულებამ პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებულ მემორანდუმებში განსაზღვროს პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა და დააკონკრეტოს მოდულები, რომლის ფარგლებშიც ითანამშრომლებს ორგანიზაციასთან.
-სასურველია დაწესებულების მიერ ორგანიზებული იყოს ტრენინგის ჩატარება მოდულების განმახორციელებელ პირთათვის შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების შესახებ.

1.4 ქვესტანდარტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(რუსთავი, 2019)

-აპლიკანტებთან გასაუბრების წესი აისახოს ჩარიცხვის პროცედურაში;

-უცხოეთში მიღებული განათლების შემთხვევაში, აპლიკანტის მიერ წარმოსადგენ დოკუმენტაციის ნუსხას დაემატოს უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების დოკუმენტი;

-დოკუმენტში ტერმინები „მასწავლებელი“ და „სტუდენტი“ ჩანაცვლდეს პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული ტერმინოლოგიით;

-პროფესიულ სტუდენტთან გასაფორმებელი ხელშეკრულებისთვის ვადად განისაზღვროს პროგრამის დასრულების ვადა, ნაცვლად კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომის გაცემისა.

1.6 ქვესტანდარტი

- შემუშავდეს კითხვარები გამოკითხვების საწარმოებლად;

-სამოქმედო გეგმაში აისახოს პროფესიული პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემაში განსაზღვრული აქტივობები.

2.3 ქვესტანდარტი

- საბიბლიოთეკო სივრცე მოეწყოს კოლეჯის სარგებლობაში არსებულ ფართში;

- ბიბლიოთეკისთვის საჭიროა კომპიუტერის/ების შეძენა, პრინტერი-სკანერი-ქსეროქსით ბიბლიოთეკის უზრუნველყოფა, მოდულებში მითითებული ონლაინ რესურსების ელექტრონულ მატარებელზე ან ბეჭდური სახით შენახვა;

- ელექტრონულ რესურსის შემთხვევაში მოდულში მიეთითოს, რომ რესურსი მხოლოდ ელექტრონული სახით არსებობს, რათა გამარტივდეს სასწავლო რესურსის ძიების პროცესი.

2.5. ქვესტანდარტი

რეგულაციაში გამოყენებული ტერმინოლოგია შესაბამისობაში მოვიდეს პროფესიული განათლების ტერმინოლოგიასთან.

3.3 ქვესტანდარტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(რუსთავი, 2019)

პროფესიული პროგრამების განმახორციელებელ პერსონალთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში დაზუსტდეს რომელი მოდულის ან მოდულების განხორციელებაზე უფორმდებათ ხელშეკრულება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



(რუსთავი, 2019)

VII. დაწესებულების მისია

„შევქმნათ პრაქტიკული გარემო, სადაც თანამედროვე ტექნოლოგიებისა და სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენებით სტუდენტებს მივცეთ შესაძლებლობა გახდნენ წამყვანი სპეციალისტები თავის საქმეში, რომლებსაც ექნებათ ზნეობრივი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა საზოგადოებაში ინტეგრაციისთვის.“

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



(რუსთავი, 2019)

1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის - დირექტორის ბრძანებით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები შედგენილია ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე და მასში განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება და მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა და მოდულების სია, სწავლის შედეგების დადასტურების (შეფასების) და კრედიტების მინიჭების წესი, პროგრამის მოცულობა კრედიტებში, დანართების შესახებ ინფორმაცია.
პროგრამებს თან ახლავს შესაბამისი დანართები: სასწავლო გეგმა, ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებლების შესახებ, ინფორმაცია სასწავლო გარემოების და მატერიალური რესურსის შესახებ, პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული მემორანდუმები. მემორანდუმებში არ არის განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობები, თუ რა რაოდენობის სტუდენტის მიღება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეუძლია პარტნიორ ორგანიზაციას, ასევე არ არის დაკონკრეტებული მოდულები, თუ რომელი მოდულების სწავლის შედეგების მიღწევა იქნება უზრუნველყოფილი პარტნიორ ორგანიზაციაში.

1. **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - საფინანსო სერვისები**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მომზადებულია ჩარჩო დოკუმენტის "საფინანსო სერვისების" საფუძველზე (სარეგისტრაციო ნომერი - 04117-პ). მისანიჭებელი კვალიფიკაცია - საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია საფინანსო სერვისებში / Basic Vocational Qualification in Finance Services.

პროგრამა დამტკიცებულია შპს საზოგადოებრივი კოლეჯი "ვიანოვას" დირექტორის 25.10.2018 №7 ბრძანებით.

ცვლილებები განხორციელებულია შპს საზოგადოებრივი კოლეჯი "ვიანოვას" დირექტორის 1.05.2019 №3 ბრძანებით. ცვლილება ეხება ხარისხისა და სასწავლო პროცესების მართვის სამსახურებზე პროგრამებში ცვლილებების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭებას და ასევე, პროგრამების ახალი რედაქციით დამტკიცებას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის შეადგენს 51 კრედიტს. აქედან, ზოგადი მოდულების ჯამური კრედიტების რაოდენობაა 16, სპეციალიზაციის პროფესიული/დარგობრივი მოდულების - 35 კრედიტი. პროგრამა მოიცავს 6 ზოგად მოდულს (16 კრედიტის მოცულობით) და 13 პროფესიულ მოდულს (51 კრედიტის მოცულობით).

პროგრამის ხანგრძლივობა ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის შეადგენს 33 კვირას.

პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის არის 66 კრედიტი. პროგრამის ხანგრძლივობა - 43 კვირა.

პროგრამაში განსაზღვრულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენაზე, საკონტაქტო ინფორმაცია, პროგრამის ხელმძღვანელი, სარეგისტრაციო ნომერი, მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე, მიზანი, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, დასაქმების სფერო და შესაძლებლობები, პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა, პროგრამის სტრუქტურა და მოდულები, სწავლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



(რუსთავი, 2019)

შედეგები, პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება, პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) სტუდენტების სწავლებისათვის, პროგრამის განხორციელების გეგმა ქართულენოვანი და არაქართულენოვან სტუდენტებისათვის, მემორანდუმები ურთიერთთანამშრომლობის შესახებ.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საფინანსო სერვისების“ განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთების დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც, დაწესებულება დაეყრდნო დასაქმების სააგენტოებისა და საიტების მიერ გამოცხადებული ვაკანსიებისა და ეკონომიკის სამინისტროს შრომის ბაზრის ანალიზს, ასევე „ილიაუნის ბიზნეს რევიუს“ და 2017 წელს ინსორსის, წამყვანი საკონსულტაციო და რეკრუტინგული კომპანიის მიერ მომზადებულ კვლევას. აღნიშნული კვლევებით მოლარისა და მოლარე-ოპერატორის პროფესია საქართველოში ყველაზე მოთხოვნად პროფესიებს შორის მოხვდა.

ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საფინანსო სერვისების“ მოდულები ადაპტირებულია წესების დაცვით.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ახლავს სასწავლო გეგმები ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის. სასწავლო გეგმა აგებულია ისე, რომ დაცულია 1 კვირიანი შუალედი წინაპირობიანი მოდულის დაწყებასა და იმ მოდულის დასრულებას შორის, რომელიც წარმოადგენს წინაპირობას. ისე, რომ შედეგის დაუდასტურებლობის შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს აქვს გარკვეული პერიოდი შედეგის განმეორებით დასადასტურებლად.

<u>თუმცა, მოდულის „საწარმოო პრაქტიკის“ შემთხვევაში, რომლის წინაპირობას წარმოადგენს ყველა სპეციალიზებული/დარგობრივი მოდული, წინაპირობა დაცული არ არის. კერძოდ, მოდულის „სავაჭრო ობიექტებში მომხმარებლის მომსახურება და პროდუქციის კონტროლი“ ბოლო ორი კვირა ემთხვევა „საწარმოო პრაქტიკის“ მოდულს და სასწავლო გეგმაში მითითებულია, რომ მოდულს „საწარმოო პრაქტიკა“ წინაპირობა არ აქვს.</u>

დაწესებულებას გაფორმებული აქვს პრაქტიკის მემორანდუმები ორგანიზაციებთან:

- შპს „მადაგონი“ (30/10/2018წ, მოქმედების ვადა არ არის დაკონკრეტებული);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



(რუსთავი, 2019)

- სს „ბაზისბანკი“ (30/10/2018წ. მოქმედების ვადა 4 წელი).

მემორანდუმებში მითითებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა(საფინანსო სერვისები), რომლის პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკის გავლას უზრუნველყოფს პარტნიორი ორგანიზაცია. აღნიშნულ მემორანდუმებში არ არის დაკონკრეტებული მოდულები ან სწავლის შედეგები, ასევე თუ რამდენ პროფესიულ სტუდენტს მიიღებს ორგანიზაცია პრაქტიკაზე, თუმცა შპს „მადაგონთან“ გაფორმებული მემორანდუმის თანახმად, რაოდენობის საკითხი (და სხვა კონკრეტული მიმართულებები) დარეგულირდება პრაქტიკის დაწყებისას გაფორმებული ხელშეკრულებით.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელდა ვიზიტი პრაქტიკის ორივე ობიექტზე. სს“ ბაზისბანკში“ და შპს „ მადაგონში“ . სს „ბაზისბანკში“ ინფორმირებულები იყვნენ პროფესიული სტუდენტების მიღების შესახებ. თუმცა, მოდულებზე და შეფასების მეთოდებზე ინფორმაცია არ ჰქონდათ. პროგრამის ხელმძღვანელის განცხადებით, აღნიშნულ საკითხზე პრაქტიკის ობიექტებთან კომუნიკაცია მოხდება პრაქტიკის დაწყების წინ. შპს „მადაგონში“ ვერ მოხერხდა უფლებამოსილ პირთან გასაუბრება, რომელიც მოგვაწვდიდა ინფორმაციას „საფინანსო სერვისების“ პროფესიული პროგრამის ფარგლებში მისაღები სტუდენტების რაოდენობის და მათი ფილიალებში გადანაწილების შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შპს მადაგონის ფილიალების რაოდენობიდან გამომდინარე არ შეექმნებათ პრობლემა პროფესიულ სტუდენტთა პრაქტიკაზე.

დაწესებულებას პრაქტიკის პროცედურები გაწერილი არ აქვს,თუმცა „გაცნობითი პრაქტიკის“ და „საწარმოო პრაქტიკის“ მოდულებს თან ახლავს პრაქტიკის დღიური და პრაქტიკის ანგარიში, რომელიც ივსება კოლეჯის მიერ გამოყოფილი პრაქტიკის ხელმძღვანელისა და პრაქტიკის ობიექტზე პრაქტიკის ინსტრუქტორის მიერ. პრაქტიკის დღიურში გამოყოფილია ველები პროფესიული სტუდენტის ვინაობის, დასწრების აღრიცხვისათვის(მათ შორის საათობრივად), შესასრულებელი დავალებების დასახელების აღნიშვნისა და შეფასებისათვის. პრაქტიკის ანგარიშში გაწერილია მისი(დოკუმენტის) წარმოებისა და შესრულების ინსტრუქცია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



(რუსთავი, 2019)

<u>ვიზიტის დროს შპს საზოგადოებრივი კოლეჯის ვიანოვას მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში „საფინანსო სერვისები“ გამოვლინდა შემდეგი უზუსტობები:</u>

- საწარმოო პრაქტიკის მოდულში პროგრამის დასახელებად მითითებულია „ფინანსური სერვისები“, ნაცვლად „საფინანსო სერვისებისა“. ასევე, მოდულის „სავაჭრო ობიექტებში მომხმარებელთა მომსახურება და პროდუქციის კონტროლი“დასახელებაში „პროდუქციის კონტროლის“ ნაცვლად გაწერილია „საბანკო კონტროლი“.
- ტექნიკური უზუსტობა გვხვდება შპს საზოგადოებრივი კოლეჯი "ვიანოვას" დირექტორის 25.10.2018 №7 (პროგრამების დამტკიცებისა და მათი ხელმძღვანელების დანიშვნის შესახებ)და 21.01.2019 №1 ბრძანებებში(პროფესიულ პროგრამებზე პედაგოგთა დანიშვნის შესახებ), სადაც მითითებულია „ფინანსური სერვისების პროფესიული პროგრამა“.
- იგივე უზუსტობაა პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთების დოკუმენტის დასახელებაში-*„ფინანსური სერვისების წარმოების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება“*.
- დირექტორის ბრძანებაში N1 2019/21/01 პროფესიულ პროგრამებზე პედაგოგთა დანიშვნის შესახებ და შრომით ხელშეკრულებებში მითითებულია „პედაგოგები“ ნაცვლად „პროფესიული განათლების მასწავლებლისა“.
- პროგრამის მოდულებში განხორციელების ადგილად მითითებულია კოლეჯის მისამართი და აუდიტორია N 19 A გარემოსთვის და აუდიტორია N 100 B გარემოსთვის. რეალურად „საფინანსო სერვისების“ პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილია აუდიტორია N 18, რომელიც წარმოადგენსA და B გარემოს გაერთიანებულად.

რეკომენდაცია: გასწორდეს ზემოთ აღნიშნული ტექნიკური უზუსტობები და პროგრამის სახელი ყველა დოკუმენტსა და მოდულში მიეთითოს ერთი დასახელებით.

2.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა -

ფლორისტიკა შემუშავებულია ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე ფლორისტიკა - Floristry (სარეგისტრაციო ნომერი-02124-პ). მისანიჭებელი კვალიფიკაცია - საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ფლორისტიკაში / Basic Vocational Qualification in Floristry. პროგრამა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(რუსთავი, 2019)

მოიცავს 6 ზოგად მოდულს - ჯამური 16 კრედიტის რაოდენობით და 10 პროფესიულ მოდულს - ჯამური 37 კრედიტის რაოდენობით, კვალიფიკაციის მისანიჭებლად საჭიროა 53 კრედიტი. არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის ზოგადი მოდულების კრედიტების რაოდენობა - 31 კრედიტი. სულ- 68 კრედიტი.

პროგრამის ხანგრძლივობა 34 კვირაა. არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის 44 კვირა.

ფლორისტიკის სასწავლო გეგმაში 5 მოდული განაწილებულია წინაპირობების გათვალისწინებით (მითითებულია, რომ 5 მოდულის წინაპირობაა მოდულები: „ესკიზის შექმნა“ და „ფლორისტული კომპოზიციების შექმნა“), მაშინ როდესაც დამტკიცებულ მოდულებში ამ წინაპირობების შესახებ არანაირი ჩანაწერი არ არსებობს. ასევე ჩარჩენილია სპეციალიზაციის კოდი 080392.

ფლორისტიკის პროგრამის მოდულს „პრაქტიკული პროექტი“ თან ახლავს საწარმოო პრაქტიკის დღიურის ფორმა, ასევე საწარმოო პრაქტიკის ანგარიშის ფორმა. აღნიშნული პროგრამა კი საწარმოო პრაქტიკის მოდულს არ ითვალისწინებს. ამავე ანგარიშის ფორმაში პროგრამის სახელწოდებად ფლორისტიკის ნაცვლად (ტექნიკურად) ჩარჩენილია „საფინანსო სერვისები“.

დაწესებულების განმარტებით სასწავლო გეგმა თავდაპირველად ძველი ჩარჩო დოკუმენტის მიხედვით გაკეთდა და შემდეგ ტექნიკურად დარჩა წინაპირობების შესახებ ჩანაწერი. ასევე ტექნიკურად კოპირებისას დაშვებული შეცდომაა ზემოთ აღნიშნული ჩანაწერიც „საწარმოო პრაქტიკის“ შესახებ. სხვა მხრივ პროგრამა შესაბამისობაშია საფუძველ ჩარჩო დოკუმენტთან.

დაწესებულებას მოდულებში მითითებული აქვს, რომ გაცნობითი პრაქტიკისა და პრაქტიკული პროექტის მოდულებს ახორციელებს მემორანდუმებით გათვალისწინებულ პრაქტიკის ორ ობიექტზე. თუმცა ამ პირობის შესახებ მემორანდუმებში დაკონკრეტებული არ არის და შემდეგნაირადაა აღნიშნული: „მხარეებმა განავითარონ ურთიერთხელსაყრელი და გრძელვადიანი თანამშრომლობა პროფესიული პროგრამა ფლორისტიკის სტუდენტების ცოდნისა და უნარ-ჩვევების ამაღლების მიზნით, სტუდენტებმა პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკები გაიარონ ამ ორგანიზაციაში“. ერთი ობიექტის, კერძოდ, „რუსთავის სერვისცენტრის“ ხელმძღვანელთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ აღნიშნული კომპანია ქალაქის გამწვანებისა და სამებაღეო საქმიანობას ეწევა და ფლორისტული გაფორმების მიმართულებით სამუშაოებს საერთოდ არ ახორციელებს. ამიტომ ვფიქრობთ, გაცნობითი პრაქტიკის მოდულისა და პრაქტიკული პროექტის მოდულების განსახორციელებლად უმჯობესია, დაწესებულებამ მხოლოდ მეორე მემორანდუმით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გათვალისწინებულ კომპანიასთან „აზიატი“ ითანამშრომლოს, რომელიც აღჭურვილია ფლორისტული სამუშაოებისთვის საჭირო მასალებითა და ინვენტარით.

3.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - სასურსათო პროდუქტების წარმოება ხორცისა და ხორცპროდუქტების წარმოება

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია ჩარჩო დოკუმენტის “ სასურსათო პროდუქტების წარმოება - ხორცისა და ხორცპროდუქტების წარმოება” საფუძველზე (სარეგისტრაციო ნომერი - 09112-პ). მისანიჭებელი კვალიფიკაციასაშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სასურსათო პროდუქტების წარმოებაში / Secondary Vocational Qualification in Food Production.

პროგრამა დამტკიცებულია შპს საზოგადოებრივი კოლეჯი “ვიანოვას” დირექტორის 2018 წლის 25 ოქტომბრის №7 ბრძანებით, აღნიშნულ ბრძანებაში შპს საზოგადოებრივი კოლეჯი “ვიანოვას” დირექტორის 2019 წლის პირველი მაისის №3 ბრძანებით შეტანილია ცვლილება,რაც ეხება ხარისხის მართვისა და სასწავლო პროცესების მართვის სამსახურებისათვის პროფესიულ პროგრამებში აუცილებელი ცვლილებების განხორციელებაზე უფლებამოსილების მინიჭებას და პროგრამების ახალი რედაქციით დამტკიცებას.

პროგრამა მოიცავს 85 ჯამურ კრედიტს;

6 საერთო პროფესიულ/დარგობრივ მოდულს 15 ჯამური კრედიტის მოცულობით;

6საერთო სავალდებულო პროფესიულ/დარგობრივ მოდულებს 18 ჯამური კრედიტის მოცულობით;

კონცენტრაციის შესაბამის პროფესიულ/დარგობრივ მოდულებს - 52 ჯამური კრედიტის მოცულობით;

არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის პროგრამის მოცულობაა - 115 კრედიტი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



(რუსთავი, 2019)

დაწესებულებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით გაფორმებული აქვს 8 მემორანდუმი შემდეგ ორგანიზაციებთან:

1. მემორანდუმი #9 შპს ნოუ–ჰაუ ახალი სკოლა, ქ.რუსთავი ბოსტან–ქალაქის ქ. N3
2. მემორანდუმი #10 შპს ფავორიტი ქ.რუსთავი ტერენტი გრანელის 2
3. მემორანდუმი #11 შპს წიქარა გორის ქუჩის მიმდებარე ტერიტორია
4. მემორანდუმი #13 საქართველოს დამოუკიდებელ ექსპერტთა ეროვნული ასოციაცია, ქ.რუსთავი გაგარინის ქ. 8
5. მემორანდუმი № 16 შ.პ.ს გემრიელი ქ.რუსთავის სამგორის 1
6. მემორანდუმი № 18 შ.პ.ს ნიტა გარდაბანი, სოფელი ახთაკლია
7. მემორანდუმი № 19 შ.პ.ს ქესალო, გარდაბანი
8. მემორანდუმი № 20 [redacted]

მემორანდუმები არის ზოგადი ხასიათის. მასში ვკითხულობთ ჩანაწერს: „მხარეებმა უნდა განავითარონ ურთიერთხელსაყრელი და გრძელვადიანი თანამშრომლობა. სტუდენტებმა პროფესიული პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკა გაიარონ ამ ორგანიზაციაში“.

მოდულებში არსებულ გრაფაში „დამატებითი მიდგომები მოდულის განხორციელებასთან დაკავშირებით“ - მოდულის განხორციელების ადგილად A ტიპის სასწავლო გარემოსთან ერთად მითითებულია პრაქტიკის ობიექტები. კოლეჯის ადმინისტრაციის და პროგრამის განმახორციელებლების განმარტებით თეორიული სწავლის შედეგების მიღწევა უნდა მოხდეს კოლეჯის ბაზაზე, პრაქტიკული სწავლის შედეგები - მთლიანად გატანილია ობიექტებზე.

მემორანდუმებში არ არის დაკონკრეტებული რომელი მოდულის და რომელი სწავლის შედეგის მიღწევა მოხდება საწარმოში, როგორ დარეგულირდება პროფესიულ სტუდენტთა განთავსება, რა რაოდენობის პროფესიული სტუდენტის მიღებას უზრუნველყოფს კომპანია. არ არის გამიჯნული მატერიალური რესურსის ცხრილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(რუსთავი, 2019)

კოლეჯის ადმინისტრაციის განმარტებით: თუ პროგრამის განხორციელების უფლებას მოიპოვებს კოლეჯი, დაიდება ხელშეკრულებები , სადაც დეტალურად იქნება გაწერილი ყველა საკვანძო საკითხი.
მეტი სიცხადისა და პროგრამის მდგრადობისთვის მნიშვნელოვანია მისაღწევი სწავლის შედეგების გამიჯვნა, განსაზღვრა რომელი სწავლის შედეგი სად ხორციელდება ასევე აუცილებელია მატერიალური რესურსების ჩამონთვალის გამიჯვნა და პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრა.

ვიზიტის პერიოდში ექსპერთტა ჯგუფმა დაათვალიერა ორი საწარმო და შეამოწმა მათი კოლეჯთან თანამშრომლობის მზაობა.

ქ. გარდაბანში მდებარეობს მსხვილფეხა ცხოველთა რქოვანი პირიტყვის სასაკლაო,
სადაც კოლეჯი გეგმავს განახორციელოს მოდულების:
ცხოველების ტრანსპორტირება და დასაკლავად მომზადება,
ცხოველის დაკვლა დაპირველადი დამუშავება,
ტანხორცის (ხორცის) გადასამუშავებლად ან სარეალიზაციოდ მომზადება - პრაქტიკული საკითხების სწავლება.

საწარმო მუშაობს აღნიშნული პროფილით. ობიექტზე არსებობს მანიპულაციებისათვის საჭირო ძირითადი ტექნიკური მოძველებული საშუალებები, თუმცა სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა არ არის დამაკმაყოფილებელი. <u>სასურველია პრაქტიკული სწავლების ობიექტად კოლეჯმა შეარჩიოს თანამედროვედ აღჭურვილი და შესაბამისი სანიტარული გარემოს მქონე სასაკლაო.</u>

ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა ასევე საწარმო შპს „გემრიელი“ - რომელიც ამზადებს სხვადასხვა სახეობის ძეხვეულს, შაშხს, ბეკონს, დელიკატესებს. საწარმო ფლობს თანამედროვე, გამართულ ტექნიკურ ხაზებს და ტექნოლოგიას. დელიკატესების წარმოების ხაზს. წარმოების მენეჯერი/ტექნოლოგი მუდმივად გადის გადამზადებებს ავსტრიაში, რომელიც ძეხვეულის წარმოებაში ერთ-ერთ ლიდერ ქვეყანად მოიაზრება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(რუსთავი, 2019)

ჩვენი ვიზიტის დროს მიმდინარეობდა საწარმოო პროცესი. ობიექტზე მიმდინარეობს წარმოების სრული ციკლი: ნედლეულის მიღება, დამუშავება, პროდუქციის მომზადებს, შეფუთვა ეტიკეტირება და სამაცივრო დანადგარში მოთავსება. საწარმოოს შიდა სივრცე დაყოფილია ნაწილებად , სადაც მიმდინარეობს სხვადასხვა პროცესები. საწარმოს აქვს რამოდენიმე მაცივარ-კამერა, ნედლეულის და მზა პროდუქციის საწყობები და ხარისხის კონტროლის ლაბორატორია, სადაც მიმდინარეობს ნედლეულის და მზა პროდუქციის კვლევა მიკრობიოლოგიურ მაჩვენებლებზე.

საწარმოს ადმინისტრაცია, წარმოების მენეჯერი მზად არის კოლეჯთან სათანამშრომლოდ და სტუდენტების მისაღებად. ისინი ასევე გამოთქვამენ წარმატებული სტუდენტების დასაქმების სურვილს. საწარმოს შეუძლია ერთ ჯერზე მიიღოს ათი პროფესიული სტუდენტი.

4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა -სასურსათო პროდუქტების წარმოება
პურ-პროდუქტების წარმოება

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია ჩარჩო დოკუმენტის სასურსათო პროდუქტების წარმოება/Food Production“” საფუძველზე (სარეგისტრაციო ნომერი - 09112-პ).

პროგრამა დამტკიცებულია შპს საზოგადოებრივი კოლეჯი “ვიანოვას” დირექტორის 2018 წლის 25 ოქტომბრის №7 ბრძანებით, აღნიშნულ ბრძანებაში შპს საზოგადოებრივი კოლეჯი “ვიანოვას” დირექტორის 2019 წლის პირველი მაისის №3 ბრძანებით შეტანილია ცვლილება, რაც ეხება ხარისხის მართვისა და სასწავლო პროცესების მართვის სამსახურებისათვის პროფესიულ პროგრამებში აუცილებელი ცვლილებების განხორციელებაზე უფლებამოსილების მინიჭებას და პროგრამების ახალი რედაქციით დამტკიცებას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პურისა და პურპროდუქტების წარმოება წარმოადგენს საშუალო პროფესიულ კვალიფიკაციას.
პროგრამა მოიცავს 85 ჯამურ კრედიტს:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(რუსთავი, 2019)

6 საერთო პროფესიულ/დარგობრივ მოდულს 15 ჯამური კრედიტის მოცულობით,
6 საერთო სავალდებულო პროფესიულ/დარგობრივ მოდულებს 18 ჯამური კრედიტის მოცულობით.
კონცენტრაციის შესაბამის პროფესიულ/დარგობრივ მოდულებს - 52 ჯამური კრედიტის მოცულობით.
არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის კრედიტების რაოდენობაა 115 კრედიტი.
დაწესებულებას პროგრამების განხორციელება სურს მოდულური მიდგომით.
ჩატარდა გასაუბრება პროგრამების ხელმძღვანელებთან. ისინი აღნიშნავენ, რომ ჩართულნი იყვნენ მოდულების ადაპტირების პროცესში. თუმცა პროგრამის ხელმძღვანელს არ აქვს მოდულური სასწავლო პროგრამების სწავლების გამოცდილება. პროგრამის ხელმძღვანელს და მოდულის განმახორციელებლების უმრავლესობას აქვს პედაგოგიური გამოცდილება უმაღლესი განათლების შესაბამის მიმართულებებზე და საკმაოდ კარგად ერკვევიან დარგის სპეციფიკაში. ისინი ძირითად აქცენტებს აკეთებდნენ სწავლების თეორიულ მხარეზე.

დაწესებულებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით გაფორმებული აქვს 7 მემორანდუმი შემდეგ ორგანიზაციებთან:

1. მემორანდუმი #8 შპს როში, ქ.თბილისი გაგარინის მეორე ჩიხი 12
2. მემორანდუმი #9 შპს ნოუ–ჰაუ ახალი სკოლა, ქ.რუსთავი ბოსტან–ქალაქის ქ. N3
3. მემორანდუმი #12 შპს გვაზავა და კომპანის, მაჩაბელის ქუჩა 12ა
4. მემორანდუმი #13 საქართველოს დამოუკიდებელ ექსპერტთა ეროვნული ასოციაცია, ქ.რუსთავი გაგარინის ქ. 8
5. მემორანდუმი № 14 შ.პ.ს პროგრესი ქ.რუსთავის მშვიდობის 6
6. მემორანდუმი № 15 შ.პ.ს მადაგონი ქ.რუსთავის აღმაშენებლის 89

ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა აღნიშნული ობიექტების ნაწილი. საწარმოები მუშაობს აღნიშნული პროფილით და მიმართულებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შპს „მადაგონი“ - საწარმო ამზადებს 30-მდე დასახელების საკონდიტრო ნაწარმს და ფუნთუშეულს. ასევე რამოდენიმე სახეობის პურს. აღჭურვილია თანამედროვე და მაღალხარისხიანი დანადგარებით. საწარმოო ხაზი დანაწილებულია სეგმენტებად, სადაც მუშაობენ მცხობელები, კონდიტერები და დიზაინერები. 50-მდე სამანიპულაციო მაგიდა განლაგებულია სივრცეში, სადაც არის იმის საშუალება, რომ სტუდენტი ჩაერთოს რეალურ სამუშაო გარემოში და განმეორებითობის პრინციპის გამოყენების საშუალებით დაეუფლოს საჭირო უნარ-ჩვევებს.
წარმოების მენეჯრმა გასაუბრებისას აღნიშნა, რომ მოხარული იქნება თუ ახალგაზრდები თავისი საქმიანობით ჩაერთვებიან საწარმოო პროცესში. საწარმოო გამოხატავს მზაობას კოლეჯის კურსდამთავრებულთა შემდგომ დასაქმებასთან დაკავშირებითაც. საწარმოს მხრიდან გამოყოფილი იქნება საკონტაქტო პირი/ინსტრუქტორი, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტთა სწავლებას და შესაბამის სეგმენტებში მოძრაობას.
საწარმოში ინერგება სურსათის უნვებლობის სტანდარტი ISO 22000, საწარმო არის სუფთა და მოწესრიგებული. წარმოებული პროდუქცია იქვე, იმავე დასახელების ჰიპერმარკეტში არის განთავსებული სარეალიზაციოდ.

შპს „პროგრესი“ - საწარმო ორიენტირებულია ფქვილის წარმოებაზე. გააჩნია ხორბლის მიღების ხაზი, შესანახი რეზერვუარები, საფქვავი წისქვილი და დაფასოება - შეფუთვის ხაზი.
ვიზიტის პერიოდში მიმდინარეობდა საწარმოო პროცესი. დავათვალიერეთ პროდუქციის საწყობი და შეფუთვის ხაზი. საწარმოს ნაწილში მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები.
წარმოების ხელმძღვანელი და ადმინისტრაცია თანხმობას აცხადებს კოლეჯთან თანამშრომლობაზე. ისინი არ გამორიცხავენ აგრეთვე კურსდამთავრებულთა შემდგომ დასაქმებასაც. დაადასტურეს, რომ ერთ ჯერზე შეუძლიათ ათი სტუდენტის მიღება და სამუშაო პროცესებში ჩართვა. საწარმოს აქვს ხარისხის კონტროლის ლაბორატორია სადაც მუდმივად მოწმდება შემოსული ნედლეულის და მიღებულ პროდუქციის ხარისხობრივი მაჩვენებლები.
საწარმოოს ასევე აქვს მაკარონის წარმოების ხაზი, თუმცა ამჟამად არ ფუნქციონირებს. ადმინისტრაციის განმარტებით, მათ შეუძლიათ საჭოროების შემთხვევაში აამუშაონ ხაზი და დაამზადონ პროდუქცია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(რუსთავი, 2019)

4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - აღმზრდელი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მომზადებულია ჩარჩო დოკუმენტის "აღმზრდელის" საფუძველზე (სარეგისტრაციო ნომერი - 02117-პ). სპეციალიზაციის კოდი: 030255, მისანიჭებელი კვალიფიკაცია - მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში.

პროგრამა დამტკიცებულია შპს საზოგადოებრივი კოლეჯი "ვიანოვას" დირექტორის 2018 წლის 25 ოქტომბრის №7 ბრძანებით, აღნიშნულ ბრძანებაში შპს საზოგადოებრივი კოლეჯი "ვიანოვას" დირექტორის 2019 წლის პირველი მაისის №3 ბრძანებით შეტანილია ცვლილება,რაც ეხება ხარისხის მართვისა და სასწავლო პროცესების მართვის სამსახურებისათვის პროფესიულ პროგრამებში აუცილებელი ცვლილებების განხორციელებაზე უფლებამოსილების მინიჭებას და პროგრამების ახალი რედაქციით დამტკიცებას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის შეადგენს 116 კრედიტს. აქედან, ზოგადი მოდულების ჯამური კრედიტების რაოდენობაა 11, სპეციალიზაციის პროფესიული/დარგობრივი მოდულების - 105 კრედიტი. პროგრამა მოიცავს 3 ზოგად მოდულს (11 კრედიტის მოცულობით) და 24 პროფესიულ მოდულს (105 კრედიტის მოცულობით).

პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის შეადგენს 75 კვირას.
პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის არის 146 კრედიტი. პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 95 სასწავლო კვირას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,აღმზრდელის" სასწავლო გეგმაში დაცულია თითოეული მოდულის კრედიტების რაოდენობა და მოდულების წინაპირობები.
საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმაში სტუდენტის დატვირთვა კვირაში არ აღემატება 40 საათს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(რუსთავი, 2019)

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში არის მითითებული მოდულის განხორციელების ადგილი და განმახორციელებელი პირები, მაგრამ მოდულებში ,,დაკვირვება და შეფასება ადრეულ და სკოლამდელ აღზრდასა და განათლებაში'' და ,,კულტურა, ტრადიცია და მოქალაქეობა ადრეულ და სკოლამდელ ასაკში" მითითებული განმახორციელებელი პირები არ არის მითითებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის დანართში N1-ში (ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლების შესახებ) და პროგრამის დანართი 2-ში: (პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი პროფესიული პროგრამა „აღმზრდელი"). დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით აღნიშნულ მოდულებში შეცდომითაა მითითებული განმახორციელებელი პირები და მოდულებს განახორციელებენ პროგრამის N2 დანართში განსაზღვრული პირები.

დაწესებულებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით გაფორმებული აქვს 5 მემორანდუმი შემდეგ ორგანიზაციებთან:
მემორანდუმი №1- ა(ა)იპ ქალაქ რუსთავის №1 ბაგა–ბაღი (30.10.2018)
მემორანდუმი №2 - ა(ა)იპ ქალაქ რუსთავის №6 ბაგა–ბაღი (30.10.2018)
მემორანდუმი №3 - ა(ა)იპ ქალაქ რუსთავის №17 ბაგა–ბაღი (30.10.2018)
მემორანდუმი №4 - ა(ა)იპ ქალაქ რუსთავის ბაგა–ბაღების გაერთიანება (30.10.2018)
მემორანდუმი №5 - ა(ა)იპ ქალაქ რუსთავის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ცენტრი (30.10.2018)
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - ,,აღმზრდელის'' ,,გაცნობითი პრაქტის'' მოდულისთვის დაწესებულებას შემუშავებული აქვს დღიური, სადაც უნდა მიეთითოს საწარმოო პრაქტიკის ხელშეკრულების N, აღნიშნულ პროგრამას კი საწარმოო პრაქტიკის მოდული არ აქვს.
განხორციელდა ვიზიტი პრაქტიკის ორ ობიექტზე - ა(ა)იპ ქალაქ რუსთავის №1 ბაგა–ბაღში და ა(ა)იპ ქალაქ რუსთავის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ცენტრში. პრაქტიკის ობიექტებზე არსებული გარემო იძლევა თითოეულ პრაქტიკის ობიექტზე ერთდროულად 15 პროფესიული სტუდენტის მიღების შესაძლებლობას პრაქტიკის ობიექტები მზადაა პროფესიული სტუდენტების მისაღებად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინტერვიურება ჩატარდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან და განმახორციელებელ პირებთან, ინტერვიურების შედეგად გამოიკვეთა, რომ პროფესიული მასწავლებლები მეტნაკლებად იცნობენ მოდულის განხორციელების და შეფასების სპეციფიკას. სასურველია დაწესებულების მიერ ორგანიზებული იყოს ტრენინგის ჩატარება მოდულების განმახორციელებელ პირთათვის შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების შესახებ. დაწესებულებას არ აქვს შემუშავებული რეგულაცია, თუ როგორ ხდება პროგრამის შემუშავება და მასში ცვლილების შეტანა, მხოლოდ სტრუქტურული ერთეულების ფუნქციებიდან იკვეთება, რომ პროფესიული პროგრამის შემუშავებას კოორდინაციას უწევს ხარისხის მართვის მენეჯერი, ასევე ხარისხის მართვის მენეჯერი ამზადებს დასკვნას პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე. დაწესებულების წესდებაში კი ხარისხის სამსახურის ფუნქციაში აღნიშნული პუნქტი არ არსებობს. დაწესებულების წარმომადგენლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ დასკვნა ზეპირსიტყვიერია და წერილობითი სახით მისი დოკუმენტირება არ ხდება.

დირექტორის ბრძანებით პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილების შეტანის უფლება მინიჭებული აქვს ხარისხის მართვის მენეჯერს და სასწავლო პროცესის მენეჯერს.

დაწესებულებას ასევე არ აქვს შემუშავებული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცედურა.

ხარვეზი:

ვიზიტის დროს შპს საზოგადოებრივი კოლეჯის ვიანოვას მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში „საფინანსო სერვისები“ გამოვლინდა შემდეგი ხარვეზი:

ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში “საფინანსო სერვისები“, არ აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა. კერძოდ, პროგრამის სასწავლო გეგმაში არ არის დაცული წინაპირობა.

მოდულის „სავაჭრო ობიექტებში მომხმარებლის მომსახურება და პროდუქციის კონტროლი“ ბოლო ორი კვირა ემთხვევა „საწარმოო პრაქტიკის“ მოდულს,რომლის წინაპირობას წარმოადგენს ყველა სპეციალიზებული/დარგობრივი მოდული, და სასწავლო გეგმაში მითითებულია, რომ მოდულს „საწარმოო პრაქტიკა“ წინაპირობა არ აქვს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რეკომენდაცია:

დაწესებულებას არ აქვს შემუშავებული პროგრამის შემუშავების და მასში ცვლილების შეტანის პროცედურა, ასევე პროფესიული პროგრამების შესწავლისას პროგრამებში გამოვლინდა ტექნიკური ხასიათის შეცდომები. შესაბამისად მნიშვნელოვანია შემუშავდეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების და მასში ცვლილების შეტანის პროცედურა, პროცედურაში გაიწეროს იმგვარად, რომ პროგრამის შემუშავების და მისი შემოწმების ვალდებულება ერთსა და იმავე საშტატო ერთეულს არ ქონდეს, რაც დაეხმარება დაწესებულებას გამორიცხოს/შეამციროს ტექნიკური უზუსტობების რაოდენობა პროგრამაში და უზრუნველყოს პროფესიული პროგრამების სტანდარტებთან შესაბამისობა.

შემუშავდეს სსს მქონე პროფესიული სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცედურა.

პროფესიული პროგრამების მდგრადობის უზრუნვეყოფის მიზნით მნიშვნელოვანია დაწესებულებამ პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებულ მემორანდუმებში განსაზღვროს პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა და დააკონკრეტოს მოდულები, რომლის ფარგლებშიც ითანამშრომლებს ორგანიზაციასთან.

სასურველია დაწესებულების მიერ ორგანიზებული იყოს ტრენინგის ჩატარება მოდულების განმახორციელებელ პირთათვის შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების შესახებ.

დადასტურება:

- პროფესიული პროგრამებით;
- პერსონალთან გასაუბრებით;
- პრაქტიკის მემორანდუმებით;
- პრაქტიკის ობიეტებზე გასაუბრებით.
- წესდებით;
- სტრუქტურული ერთეულების ფუნქციებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(რუსთავი, 2019)

შეფასება:

☐ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
■ქვესტანდარტი დარღვეულია

1.2 დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), რომელშიც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
კოლეჯის ვებ-გვერდზე განთავსეულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, რომელშიც მოცემულია ინფორმაცია კოლეჯის მიზნების და ამოცანების შესახებ, პროფესიული პროგრამების სახელწოდება, ხელმძღვანელის სახელი გვარი და საკონტაქტო ინფორმაცია, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, სწავლების ენა, პროგრამის მოცულობა კრედიტებში, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები, სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების და კრედიტების მინიჭების შესახებ ინფორმაცია. კატალოგში არ არის მითითებული რომ პროგრამები ამ ეტაპზე ავტორიზებული არ არის და მიმდინარე პროცესშია.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ვებ-გვერდზე განთავსებული კატალოგით
http://vianova.edu.ge/docs/%E1%83%99%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%98.pdf

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



(რუსთავი, 2019)

■ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.3 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამა „აღმზრდელის“ სწავლის შედეგები შეესაბამება ჩარჩო დოკუმენტით „აღმზრდელი“ განსაზღვრულ სწავლის შედეგებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საფინანსო სერვისები“ - სწავლის შედეგები შეესაბამება ჩარჩო დოკუმენტს „ საფინანსო სერვისები“.
პროფესიული პროგრამის „ფლორისტიკა“ სწავლის შედეგები შეესაბამება ჩარჩო დოკუმენტს „ფლორისტიკა“. პროფესიული პროგრამები „პურ-პროდუქტების წარმოება“ და „ხორცისა და ხორცპროდუქტების წარმოება“ შედგენილია ჩარჩო დოკუმენტის „სასურსათო პროდუქტების წარმოება“ და სწავლის შედეგები შეესაბამება აღნიშნული ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):
პროფესიული პროგრამებით;
ჩარჩო დოკუმენტებით.
შეფასება:

■ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.4 დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე, მიღებული განათლების აღიარების წესები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომელიც მოიცავს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების პროცედურას, პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების, შეწყვეტის, მობილობის და შიდა მობილობის, მიღებული განათლების აღიარების წესებსა და პირობებს, ასევე სწავლის შეფასების სისტემასა და კვალიფიკაციის მინიჭების წესს.

პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება ხდება კოლეჯში განცხადების და დოკუმენტაციის წარმოდგენის გზით, წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე კოლეჯის დირექტორი გამოსცემს ბრძანებას მსურველის პროფესიულ პროგრამაზე ჩარიცხვასთან დაკავშირებით. წესი არ ითვალისწინებს პროცედურასა და პირობებს , თუ როგორ იქნება ჩასარიცხი აპლიკანტების შესახებ გადაწყვეტილება მიღებული იმ შემთხვევაში, თუ სწავლის მსურველთა რაოდენობა აღემატება კონკრეტული პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას. კოლეჯის წარმომადგენელმა განმარტა, რომ მსგავს შემთხევაში ჩატარდება გასაუბრება და მის საფუძველზე მიიღებენ გადაწყეტილებას.

ამავე წესის 2.5 მუხლით პროფესიულ სტუდენტსა და კოლეჯს შორის გაფორმებული ხელშეკრულება ძალაშია პროფესიული პროგრამის შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომის გაცემამდე, არ იკვეთება როდემდეა ძალაში ხელშეკრულება თუ პროფესიულმა სტუდენტმა ვერ შეძლო სწავლის შედეგების დადასტურება და ვერ მიიღო კვალიფიკაცია.

ჩარიცხვის წესი არ ითვალისწინებს უცხოეთში მიღებული განათლების შემთხვევაში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბერი №98/ნ ბრძანების „საქართველოში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესის“ საფუძველზე აღიარების დოკუმენტის წარმოდგენას.

რეგულაციაში რიგ შემთხვევებში გამოყენებულია ტერმინი „მასწავლებელი“ და „სტუდენტი“.

რეკომენდაცია:

აპლიკანტებთან გასუბრების წესი აისახოს ჩარიცხვის პროცედურაში;

უცხოეთში მიღებული განათლების შემთხვევაში, აპლიკანტის მიერ წარმოსადგენ დოკუმენტაციის ნუსხას დაემატოს უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების დოკუმენტი;

დოკუმენტში ტერმინები „მასწავლებელი“ და „სტუდენტი“ ჩანაცვლდეს პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული ტერმინოლოგიით;

პროფესიულ სტუდენტთან გასაფორმებელი ხელშეკრულებისთვის ვადა განისაზღვროს პროგრამის დასრულებამდე.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით;

დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით;

შეფასება:

■ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.5 დაწესებულებას შემუშავებული აქვს, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომელიც ითვალისწინებს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმებს. პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია გადავიდეს კოლეჯის სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე (არსებობის შემთხვევაში), სწავლა განაგრძოს შეცვლილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით ან მოახდინოს მისთვის სასურველი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის არჩევა სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

იმ შემთხვევაში, თუ პროფესიულ სტუდენტებს სურვილი აქვთ სწავლა განაგრძონ სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში, კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიული პროგრამის მილევად რეჟიმში სწავლებას ყველა მსურველის გადაყვანის პროცესის დასრულებამდე, ხოლო კოლეჯის მიერ სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან დადებული მემორანდუმის (შეთანხმების) საფუძველზე პროფესიული სტუდენტები უზრუნველყოფილი იქნებიან სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლისა და მათი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის აღიარების უფლებით.

აღნიშნული რეგულაციის შესაბამისად დაწესებულებას უნდა ჰქონდეს დადებული მემორანდუმები/შეთანხმებები სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ყველა პროფესიული პროგრამისთვის პროფესიული სტუდენტების მობილობის უზრუნველყოფის მიზნით. ვინაიდან დაწესებულების მიერ ავტორიზაციის განაცხადის გაკეთების მომენტისთვის სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებს არ ქონდათ ავტორიზებული მსგავსი პროგრამები.

საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმი არ ითვალისწინებს ისეთ შემთხვევებს, როცა ყველა პროგრამა არ ხორციელდება სხვა დაწესებულებებში და დაწესებულება ვერ დებს მემორანდუმებს (შეთანხმებებს) პროფესიული სტუდენტის სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის უზრუნველყოფისთვის. საჭიროა დაწესებულებამ განსაზღვროს, როგორ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა შემდგომ განათლებას თუ მსგავსი პროგრამა არ ხორციელდება სხვა დაწესებულებაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(რუსთავი, 2019)

დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შპს საქათველოს ბიზნესის აკადემია-SBA-სთან, რომელიც ითვალისწინებს თანამშრომლობას პროფესიულ სტუდენტთა მობილობის პროცესში პროგრამებისთვის: სკოლამდელი განათლება და ფინანსები.

ხარვეზი:

საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმი არ ითვალისწინებს ისეთ შემთხვევებს, როცა ყველა პროგრამა არ ხორციელდება სხვა დაწესებულებებში.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით;

შპს საქათველოს ბიზნესის აკადემია-SBA-სთან გაფორმებული ხელშეკრულებით.

შეფასება:

☐ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

■ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.6 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა. კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა აგებულია ციკლზე „დაგეგმე - განახორციელე - შეაფასე - გააუმჯობესე“. წესი ითვალისწინებს სხვადასხვა ტიპის გამოკითხვებს. წესს თან არ ახლავს კითხვარები. ხარსიხის მართვის ინსტრქუციის შესაბამისად პროგრამის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(რუსთავი, 2019)

განხორციელების შეფასებისთვის აუცილებელი ღონისძიებები გაწერილი უნდა იყოს კოლეჯის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში, თუმცა წარმოდგენილ 2019-20 წლების სამოქმედო გეგმაში მსგავსი აქტივობები არ იკვეთება.
წესში გამოყენებულია ტერმინები „პედაგოგი“, „სტუდენტი“.

რეკომენდაცია:

შემუშავდეს კითხვარები; სამოქმედო გეგმაში აისახოს შესაბამისი აქტივობები;

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემით.
2019-20 წლების სამოქმედო გეგმით.
შეფასება:

■ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულების საკუთრებასა ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:

ა) ერთ მისამართზე შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას გაფორმებული აქვს უძრავი ქონების იჯარის ხელშეკრულება შპს - ,,ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის უმაღლეს სასწავლებელთან“ 7 წლის ვადით. დაწესებულებას სარგებლობის უფლებით გადაცემული აქვს 455.536 კვ.მ. ფართი ქ. რუსთავში, ბოსტან-ქალაქის ქუჩა N3-ში. ფართი განთავსებულია მეორე სართულზე [redacted] დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

№	მისამართი	კვ.მ.
1	ქ.რუსთავი, ბოსტან-ქალაქის ქ. N3	455.536

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

იჯარის ხელშეკრულებით;

აზომვითი ნახაზით;

ამონაწერით საჯარო რეესტრიდან.

შეფასება:

■ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ბ) სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

კოლეჯს სასწავლო ფართში (რუსთავი, ბოსტან-ქალაქის N3 , მეორე სართული) განთასებული აქვს პროფესიული პროგრამების განხორციელებისთვის საჭირო A და B გარემო. დაწესებულება სასწავლო ინვენტარის უმეტესი ნაწილი უზრუნველყოფს იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე, მატერიალური რესურსის ნაწილზე კი კოლეჯმა წარმოადგინა ნასყიდობის ხელშეკრულებები, მიღება - ჩაბარების აქტები და სასაქონლო ზედნადებები.

ვიზიტის დროს ექსპერტის მიერ შემოწმდა პროფესიული საგანმანათლებლოს პროგრამის „საფინანსო სერვისების“ განხორციელებისთვის აუცილებელი მატერიალური რესურსი. აღნიშნული პროგრამისათვის გამოყოფილი აუდიტორია (N18) წარმოადგენს A და B გარემოს. აუდიტორია განსაზღვრულია 15 პროფესიული სტუდენტისთვის და მასწავლებლისთვის და აღჭურვილია პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ყველა აუცილებელი ინვენტრით (მაგიდები, სკამები,დაფა, კომპიუტერები, პროექტორი, მრავალფუნქციური პრინტერი-კომბაინი, პროგრამის სპეციფიური ინვენტარი და მასალები). ყველა კომპიუტერში ჩატვირთულია საბანკო პროგრამა „ალტას“ დემო ვერსია.

ექსპერტთა შეფასებით პროფესიული საგანმანათლებლოს პროგრამა „საფინანსო სერვისებისთვის“ გამოყოფილი A, B ტიპის სასწავლო გარემო, შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური რესურსით, აკმაყოფილებს კოლეჯის მიერ მოთხოვნილი პროფესიული სტუდენტების ზღვრულ რაოდენობას - კერძოდ, ორ ცვლაში შესაძლებელია 30 პროფესიული სტუდენტის განთავსება.

ფლორისტიკის პროგრამის განხორციელებისთვის დაწესებულებას გამოყოფილი აქვს #26 აუდიტორია, რომელიც ერთდროულად არის A და C გარემო ყველა მოდულის განსახორციელებლად, გარდა გაცნობითი პრაქტიკის ზოგიერთი სწავლის შედეგისა და პრაქტიკული პროექტის მოდულებისა, რომლებიც განხორციელდება მემორანდუმით გათვალისწინებულ კომპანიებში. აუდიტორიაში დგას 15 სკამი-მაგიდა, მასწავლებლის მაგიდა და სკამი, დემონსტრირების საშუალება და აუცილებელი მინიმალური აღჭურვილობა. აღჭურვილობის დათვალიერებისას 15 სტუდენტისთვის საჭირო 15 სახატავი დაფის ნაცვლად ადგილზე აღმოჩნდა მხოლოდ 1. მომდევნო დღეს დაწესებულებამ დანარჩენი 14 დაფაც წარმოადგინა. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ სამუშაო მაგიდა, რომელიც სტუდენტებმა პრაქტიკული სამუშაოებისთვის უნდა გამოიყენონ იყო საკმაოდ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(რუსთავი, 2019)

პატარა და მასთან 15 სტუდენტი ვერ იმუშავებს. დაწესებულებას განემარტა ამის შესახებ და მათ კიდევ ერთი დიდი სამუშაო მაგიდის დამატების გადაწყვეტილება მიიღეს, თუმცა ვიზიტის დასრულებამდე არ დაუმატებიათ. არსებულ მაგიდასთან კი შესაძლებელია იმუშაოს მაქსიმუმ 8 ადამიანმა.

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი,,ვიანოვას" დირექტორის 2019 წლის პირველი თებერვლის №12 ბრძანებით საგანმანათლებლო პროგრამისთვის ,,აღმზრდელი" გამოყოფილია:
A გარემო - აუდიტორიისნომერი№17;
B გარემო - აუდიტორიისნომერი№35.
აღმზრდელის პროფესიული პროგრამისთვის განკუთვნილი სასწავლო გარემო უზრუნველყოფილია 16 პროფესიული სტუდენტისთვის საჭირო ინვენტარით და აღჭურვილობით. ორ ცვლაში შესაძლებელია 30 პროფესიული სტუდენტის განთავსება.
სასურსათო პროდუქტების წარმოების პროგრამებისთვის (პურ-პროდუქტების წარმოება; ხორცისა და ხორც-პროდუქტების წარმოება) გამოყოფილი A ტიპის სასწავლო გარემო აღჭურვილია სტანდარტით გათვალისწიებული საჭირო რესურსით. A ტიპის სასწავლო გარემოში მოთავსებულია ასევე მარტივი ხელსაწყოები, მულაჟები, პლაკატები, მარტივი იარაღები, აღჭურვილობა, ნედლეულის ნიმუშები და ა.შ შესაბამისად, A და C გარემო შეიძლება ჩავთვალოთ გაერთიანებულად.თუმცა სრული C გარემო, რომელიც აღჭურვილი უნდა იყოს სტანდარტით გათვალისწინებული მატერიალური რესურსით კოლეჯს არ გააჩნია.
ორივე პროგრამაში სასწავლო პროგრამის სრულყოფილად განხორციელების მიზნით საჭიროა C ტიპის სასწავლო გრემო. დაწესებულებას ადგილზე არ გააჩნია სასწავლო C გარემოები და პროგრამების განხორციელებისთვის აუცილებელი აღჭურვილობა და მოდულებში მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობით და კოლეჯის წარმომადგენლების განმარტებით, გეგმავენ პრაქტიკული ნაწილის პარტნიორ ორგანიზაციებში განხორციელებას. კოლეჯს აღნიშნულ ორგანიზაციებთან გაფორმებული აქვს მემორანდუმები, რომლებიც ზოგადი ხასიათისაა და არ აკონკრეტებს, რომელი მოდულის, სწავლის შედეგის მიღწევა მოხდება საწარმოში, როგორ დარეგულირდება პროფესიულ სტუდენტთა განთავსება, რა რაოდენობის პროფესიული სტუდენტი შეიძლება მივიდეს ერთ ჯერზე, რა მატერიალური რესურსით (მანქანა- დანადგარები,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინვენტარი, აღჭურვილობა) სარგებლობა შეეძლებათ პროფესიულ სტუდენტებს, ვინ იზრუნებს უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნაზე, პროფესიულ სტუდენტთა ინსტრუქტაჟზე, შეფასებაზე და ა.შ

ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა აღნიშნული ობიექტების ნაწილი. საწარმოები მუშაობს აღნიშნული პროფილით და მიმართულებით. (პრაქტიკის ობიექტებზე გამოვლენილი გარემოებების შესახებ დეტალურად შეგიძლიათ იხილოთ 1.1 ქვესტანდარტის აღწერილობით ნაწილში)

სასურსათო პროდუქტების წარმოების ორივე პროგრამისთვის ქიმიისა და ბიოლოგიის სწავლებისთვის დაწესებულებას გაფორმებული აქვს მემორანდუმი შპს ნოუ ჰაუ ახალ სკოლასთან. მემორანდუმის თანახმად პრაქტიკის კონკრეტული მიმართულებები, ღირებულება, რაოდენობა და ვადები შეიძლება განისაზღვროს ხელშეკრულებით, პრაქტიკის დაწყების წინ.

მემორანდუმი არ აკონკრეტებს რა რაოდენობის სტუდენტის მიღება იქნება შესაძლებელი ერთ ჯერზე და რა რესურსებზე ექნებათ წვდომა პროფესიულ სტუდენტებს. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ვინაიდან სკოლის სასწავლო დღეები ორშაბათი-პარასკევია, ხოლო კოლეჯის ორშაბათი-შაბათი, ლაბორატორიის გამოყენებას შეძლებენ ისე, რომ ხელი არ შეეშალოს სკოლის სასწავლო პროცესს.

ხარვეზი: სასურსათო პროდუქტების წარმოების პროფესიული პროგრამებისთვის დაწესებულებას C გარემოს შესაბამისი აღჭურვილობა არ გააჩნია. ასევე პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული მემორანდუმები არ ითვალისწინებს რა რაოდენობის პროფესიული სტუდენტისთვის, რა რესურსები იქნება ხელმისაწვდომი, ასევე მემორანდუმებში არ კონკრეტდება მოდულები, რომელიც იქნება უზრუნველყოფილი პარტნიორ ორგანიზაციაში. მემორანდუმებს არ ახლავს ინფორმაცია იმ მატერიალური რესურსის შესახებ, თუ რასთან ექნებათ წვდომა პროფესიულ სტუდენტებს პარტნიორ ორგანზაციაში.

ვინაიდან პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო C გარემო და შესაბამისი აღჭურვილობა არ გააჩნია დაწესებულებას, პროგრამის მდგრადობისთვის საჭიროა ზოგადი ხასიათის მემორანდუმების ნაცვლად, არსებობდეს პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(რუსთავი, 2019)

ხელშეკრულებები, სადაც დეტალურად გაიწერება მისაღები პროფესიული სტუდენტების რაოდენობა; მოდულები, რომლის ფარგლებშიც ითანამშრომლებენ მხარეები, დაკონკრეტდება მატერიალური რესურსები, თუ რა აღჭურვილობასა და მანქანა-დანადგარებთან ექნებათ წვდომა პროფესიულ სტდენტებს, განისაზღვრება პროფესიულ სტუდენტთა სწავლებასა და შეფასებაზე პასუხისმგებელი მხარეები და პროცედურები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

იჯარის ხელშეკრულებით;

ფაქტობრივი მდგომარეობით;

ნასყიდობის ხელშეკრულებებით;

სასაქონლო ზედნადებებით;

მემორანდუმებით;

ვიზუალური დათვალიერებით;

კოლეჯის წარმომადგენელთან გასაუბრებით.

შეფასება:

☐ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

■ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.2 დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
დაწესებულებას აქვს ელექტრო ენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილი და ბუნებრივი განათების შესაძლებლობა, დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობის სისტემა.
კოლეჯის მიერ შპს „ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის უმაღლეს სასწავლებელთან“ გაფორმებული იჯარის ხელშეკრულების თანახმად იჯარა ითვალისწინებს კომუნალურ გადასახადებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ვიზუალური დათვალიერებით;

იჯარის ხელშეკრულებით;

ინტერვიურებით.

შეფასება:

■ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.3 დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
დაწესებულებას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, რომელიც ადგენს ბიბლიოთეკაში გაწევრიანების პირობებს, ბიბლიოთეკის სამუშაო დროს და ბიბლიოთეკის რესურსებით სარგებლობის წესებს. სამუშაო საათებად განსაზღვრულია ორშაბათიდან შაბათის ჩათვლით 10 საათიდან საღამოს 8 საათამდე. ვიზიტის პერიოდში ბიბლიოთეკა განთავსებული იყო, ბოსტან-ქალაქის N3-ში, პირველ სართულზე. კოლეჯის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით (საჯარო რეესტრის ამონაწერი, აზომვითი ნახაზი) დაწესებულების სარგებლობაში არის მხოლოდ მეორე სართულზე არსებული ფართი, ასევე დაწესებულებას არ წარმოუდგენია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ბიბლიოთეკაში არსებული ინვენტარის (მაგიდები, სკამები, კომპიუტერები, ასლგადამღები) ფლობის დოკუმენტაცია.
კოლეჯის ბიბლიოთეკის საინვენტარო ჟურნალში არსებული მონაცემების მიხედვით კოლეჯს აქვს 70 ერთეული ბეჭდური წიგნი. წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით.
დისკებზე ჩაწერილია ელექტრონული სახელმძღვანელოები. ფლორისტიკის პროფესიულ პროგრამის მოდულებში მითითებული ერთ-ერთი რუსულენოვანი სახელმძღვანელო ვერ იქნა მოძიებული, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნული სახელმძღვანელო ელექტრონული სახით არსებობს, საიტზე გახსნა და გაცნობა შესაძლებელია, თუმცა მისი ჩამოტვირთვა ფასიანია. ფლორისტიკის მოდულებში მითითებული სასწავლო რესურსად უმეტეს შემთხვევაში მითითებულია სხვადასხვა ვებგვერდის ლინკი, რომლებიც ზოგჯერ იხსნება, ზოგჯერ-არა. ამიტომ სასურველია, დაწესებულებამ ჩამოტვირთოს აღნიშნული მასალები და განათავსოს დისკებზე.
რაოდენობრივი წიგნიერების მოდულში მითითებული სახელმძღანელო „გოგიშვილი გ., ვეფხვაძე თ., მებონია ი. ქურჩიშვილი ლ., მათემატიკა X,/მასწავლებლის წიგნი, თბ., ინტელექტი, 2012 წელი“ არ იყო წარმოდგენილი ბიბლიოთეკაში, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნული სახელმძღვანელო ელექტრონულად აქვთ ხელმისაწვდომი. აღნიშნული სახელმძღვანელო ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ვებ-გვერდზე.

რეკომენდაცია:

საბიბლიოთეკო სივრცის კოლეჯის სარგებლობაში არსებულ ფართში მოწყობა;
ბიბლიოთეკისთვის კომპიუტერის/ების შეძენა;
პრინტერი-სკანერი-ქსეროქსით ბიბლიოთეკის უზრუნველყოფა;
მოდულებში მითითებული ონლაინ რესურსების ელექტრონულ მატარებელზე ან ბეჭდური სახით შენახვა;
ელექტრონული რესურსის შემთხვევაში მოდულში მიეთითოს, რომ რესურსი ელექტრონული სახით არსებობს, რათა გამარტივდეს სასწავლო რესურსის ძიება.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ბიბლიოთეკით სარგებლობის წესით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(რუსთავი, 2019)

ფაქტობრივი მდგომარეობით;

ინვენტარიზაციის ჟურნალით;

იჯარის ხელშეკრულებით და აზომვითი ნახაზით;

შეფასება:

■ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.4 საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე, დაწესებულების მართვაში.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულების მიერ მოიჯარესთან გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად მოიჯარე უფლებას აძლევს დაწესებულებას ისარგებლოს მოიჯარის შპს „ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის უმაღლესი სასწავლებლის„ ინტერნეტით. დაწესებულებას ასევე წარმოდგენილი აქვს შპს „ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის უმაღლეს სასწავლებელსა“ და სიჯისისთან გაფორმებული ხელშეკრულება ინტერნეტით მომსახურების თაობაზე.

დაწესებულებამ წარმოადგინა იჯარის ხელშეკრულების დანართი N7, რომლის თანახმადაც კოლეჯის ადმინისტრაციას მეიჯარისგან გადმოეცა 3 კომპიუტერი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

იჯარის ხელშეკრულებით;

შპს „ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის უმაღლეს სასწავლებელსა“ და სიჯისისთან გაფორმებული ხელშეკრულებით;

შეფასება:

■ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.5 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
საქმისწარმოების წესი ითვალისწინებს შემოსული დოკუმენტების ცენტრალურად რეგისტრაციას. „ცალ-ცალკე რეგისტრირდებოდეს აკადემიური პერსონალის, კონკურსანტების, ადმინისტრაციის წარმომადგენლების, სტუდენტების, აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების და სხვ განცხადებები ან პასუხები შემოსულ განცხადებებზე.“ აღსანიშნავია რომ დაწესებულებას განაცხადი შემოტანილი აქვს კოლეჯის სტატუსის მოსაპოვებლად და ვერ ეყოლება აბიტურიენტი ან მაგისტრანტობის მსურველი.
დაწესებულებამ წარმოადგინა ბრძანებების, შრომითი ხელშეკრულებების აღრიცხვის და მემორანდუმების აღრიცხვის ჟურნალები. ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალებს ყდაზე აქვს წარწერა „2018-2019 ს/წ“, „2019-2020 ს/წ“. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ტექნიკური შეცდომაა და ჟურნალებს კალენდარული წლის მიხედით აწარმოებს. ჟურნალები გადანომრილი, ზონარგაყრილი და ბეჭდით დამოწმებულია.
რეკომენდაცია:
რეგულაციაში გამოყენებული ტერმინოლოგია შესაბამისობაში მოვიდეს პროფესიული განათლების ტერმინოლოგიასთან.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):
საქმისწარმოების წესით;
რეგისტრაციის ჟურნალებით;
შეფასება:

■ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(რუსთავი, 2019)

2.6 დაწესებულებაში დაცულია პერსონალის, პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:

ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;

ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;

გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;

დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:ა)

ა)დაწესებულების მიერ საავტორიზაციო განაცხადთან ერთად წარმოდგენილი დებულებების წიგნის მიხედვით ლოჯისტიკის სამსახურის ფუნქციებში შედის სახანძრო და ტექნიკური უსაფრთხოების წესების დაცვაზე კონტროლი, კოლეჯის შენობა-ნაგებობების და ქონების დაცვა და კოლეჯის სტუდენტების და თანამშრომლების უსაფრთხოების დაცვა; ვიზიტის დროს დაწესებულების წარმომადგენელს ვკითხეთ, ხომ არ ქონდათ გაწერილი პროცედურები, რის მიხედვითაც უნდა ეხელმძღვანელა ლოჯისტიკის სამსახურს, განგვიმარტეს, რომ წესი შემუშავების პროცესშია და ვიზიტის დასრულებამდე წარმოადგინეს დამტკიცებული „უსაფრთხობის უზარუნველყოფის და პირველადი დახმარების აღმოჩენის წესი“.

დაწესებულებაში თვალსაჩინო ადგილას (კიბის უჯრედებთან) განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი.

ბ) დაწესებულების დერეფანში გამოკრულია ევაკუაციის გეგმა, რომელზეც აღნიშნულია, რომ წარმოადგენს სასწავლო უნივერსიტეტი „რვალის“ ევაკუაციის გეგმას.

გ)კოლეჯის წესდების, სტრუქტურული ერთეულის ფუნქციებით და უსაფრთხოების უზარუნველყოფის და პირველადი დახმარების აღმოჩენის წესის შესაბამისად კოლეჯში მოქმედებს სამედიცინო კაბინეტი. აღნიშნული კაბინეტი განთავსებულია შენობის პირველ სართულზე, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ამონაწერით და აზომვით ნახაზით, აღნიშნული ფართი არ არის კოლეჯის სარგებლობაში, ასევე დაწესებულებას არ წარმოუდგენია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სამედიცინო კაბინეტში განთავსებული ინვენტარის ფლობის დოკუმენტაცია. კოლეჯს ჰყავს ექიმის კვალიფიკაციის მქონე სამედიცინო კაბინეტის სამსახურის უფროსი.

დ) სტრუქტურული ერთეულების ფუნქციების მიხედით კოლეჯში წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელია ლოჯისტისკის სამსახური. კოლეჯს ჰყავს ლოჯისტიკის სამსახურის უფროსი და ლოჯისტიკის სპეციალისტი.

ხარვეზი:

დაწესებულების მარეგულირებელი დოკუმენტების მიხედვით კოლეჯს გააჩნია სამედიცინო კაბინეტი. კოლეჯის სამედიცინო კაბინეტი განთავსებულია ფართში, რომლით სარგებლობის უფლება არ აქვს დაწესებულებას, ასევე კაბინეტში არსებული ინვეტარი არ წარმოადგენს კოლეჯის საკუთრებას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

საჯარო რეესტრის ამონაწერით;

აზომვითი ნახაზით;

სტრუქტურული ერთეულების ფუნქციებით;

შრომითი ხელშეკრულებებით;

უსაფრთხობის უზარუნველყოფის და პირველადი დახმარების აღმოჩენის წესით;

ვიზუალური დათვალიერებით;

მოძრავი ქონების ფლობის დოკუმენტაციით.

შეფასება:

☐ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

■ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.7 დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
შენობაში შესასვლელად (პირველ სართულზე მოსახვედრად) დამონტაჟებულია ლიფტი. კიბის უჯრედში დამონტაჟებულია გადმოსაშლელი პანდუსი. კოლეჯის წარმომადგენლის მიერ ნაჩვენები ადაპტირებული სველი წერტილები განთავსებულია შენობის 0 სართულზე, აღნიშნული ფართი არ არის კოლეჯის სარგებლობაში. კოლეჯის წარმომადგენელმა ინტერვიუსას აღნიშნა, რომ ვინაიდან მეიჯარის (ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის) დამფუძნებელი და კოლეჯის დამფუძნებლები ერთი და იგივე არიან ფიქრობენ რომ აღნიშნული სველი წერტილებით სარგებლობა არ შეეზღუდებათ.

ხარვეზი:
კოლეჯის სარგებლობაში არსებული სველი წერტილები არ არის ადაპტირებული.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):
ვიზუალური დათალიერებით;
საჯარო რეესტრის ამონაწერით და აზომვითი ნახაზით;
ინტერვიურებით.

შეფასება:

☐ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
■ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.8 ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შპს პროსერვისთან დომენით და ჰოსტინგით მომსახურებაზე. დაწესებულებას აქვს საიტი - http://vianova.edu.ge/ საიტზე განთავსებულია კოლეჯის მისია, სტრუქტურა, საკონტაქტო ინფორმაცია, ბიბლიოთეკის შესახებ ინფორმაცია, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, პროფესიული პროგრამების შესახებ ინფორმაცია. საიტზე ასევე ატვირთულია მარეგულირებელი დოკუმენტები. პროფესიული პროგრამების ხელმძღვანელების შესახებ ინფორმაცია განთავსებულია პროგრამების კატალოგში.
საიტი მუშაობს სატესტო რეჟიმში.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):
ვებ-გვერდით;
შპს პროსერვისთან გაფორმებული ხელშეკულებით.
შეფასება:

■ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.9 შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
კოლეჯის წესდებით განსაზღვრულია, რომ კოლეჯის დირექტორი დამფუძნებელთა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს სტრატეგიულ გეგმას, თავის მხრივ დამფუნებელთა საბჭოს ფუნქციებში განსაზღვრულია, რომ საბჭო ამტკიცებს გეგმებს . დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ექვსწლიანი სტრატეგიული გეგმა დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის ბრძანებით, თუმცა ბრძანების შინაარსიდან და მისი დანართიდან ირკვევა, რომ დოკუმენტი შეთანხმებულია დამფუძნებელთა საბჭოსთან. დოკუმენტი შემუშავებულია SWOT ანალიზის საფუძველზე და მოიცავს 2019-2024 წლებში განსახორციელებელ სტრატეგიულ მიზნებს, ამოცანებს, ქმედებებს ,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(რუსთავი, 2019)

განხორციელების პერიოდს, პასუხისმგებელ სტრუქტურულ ერთეულებს და ინდიკატორებს, რომელიც გამოხატულია რიცხვებში. კოლეჯის წარმომადგენლებთან ინტერვიუსას დაზუსტდა რას გულისხმობდნენ ინდიკატორებში.

2019-2020 წლების სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია მიზნები, ქვემიზნები, ქმედება, ვადა, ბიუჯეტი, განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეული და ინდიკატორი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

წესდებით;

სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების დამტკიცების ბრძანებით და დამფუძნებელთა საბჭოს კრების ოქმით;

სამოქმედო და სტრატეგიული გეგმებით;

ინტერვიურებით.

შეფასება:

■ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



(რუსთავი, 2019)

3. ადამიანური რესურსი

3.1 დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
დაწესებულებას შემუშავებული აქვს პერსონალთა მიმართ წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები.
ადმინისტრაციის თანამშრომლისთვის განსაზღრული საკვალიფიკაციო მოთხოვნებია:
სამსახურების უფროსისთვის – უმაღლესი განათლება (ბაკალავრის ხარისხი), 1 წლიანი გამოცდილება სასწავლო დაწესებულებაში მუშაობისა. სპეციალისტებს მოეთხოვებათ პროფესიული განათლების დიპლომი ან სრული საშუალო განათლების ატესტატი და 6 თვიანი სამუშაო გამოცდილება. გამოცდილების არ მქონე კანდიდატები მიიღებიან 3 თვიანი გამოსაცდელი ვადით და მხოლოდ ამ ვადის წარმატებით დასრულების შემთხვევაში მიიღებიან სპეციალისტებად.
ვიზიტის პროცესში გადამოწმდა პერსონალის პირადი საქმეები, სამსახურის უფროსების პირად საქმეებში არ იყო წარმოდგენილი სასწავლო დაწესებულებაში მუშაობის 1 წლიანი გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტები. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ CV-ებში მითითებული ინფორმაცია საკმარისად ჩათვალეს და ამიტომ არ მოუთხოვიათ სხვა დოკუმენტები დასაქმებულებისთვის. ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისი ცნობები.
ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის კვალიფიკაციები შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):
საკვალიფიკაციო მოთხონებით;
პირადი საქმეებით:
შეფასება:

■ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
□ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3.2 საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
დაწესებულებას შემუშავებული აქვს შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:
პროგრამის ხელმძღვანელებისთვის განსაზღვული საკვალიფიკაციო მოთხოვნები – უმაღლესი განათლება, ბაკალავრის ხარისხის. (სასურველია თავისი სპეციალიზაციის მიმართულებით) და მინიმუმ 3 წლიანი გამოცდილება პროგრამის სპეციფიკის მიმართულებით, ასევე მინიმუმ 1 წლიანი პედაგოგიური გამოცდილება.
პროგრამის განმახორციელებლებისთვის განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნები – პროფესიული ან უმაღლესი განათლება, მინიმუმ 2 წლიანი გამოცდილება სპეციალიზაციის მიმართულებით და 1 წლიანი გამოცდილება პედაგოგიური მიმართულებით.
პროფესიული პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეების შესწავლის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი:
ფლორისტიკის პროგრამისთვის შერჩეულ პროფესიულ მასწავლებელთა უმრავლესობას არ ჰქონდა არც გამოცდილების არც სწავლების დამადასტურებელი დოკუმენტი. დაწესებულებამ ვიზიტის მეორე დღეს წარმოადგინა ზოგადი მოდულების განმახორციელებელთა სწავლების გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტები. ხოლო პროფესიული მოდულების განმახორციელებელთა უმრავლესობისთვის არცერთი დოკუმენტი არ წარმოუდგენია.
ამავე პროგრამის ერთ-ერთ განმახორციელებელ პირს უდასტურდება მხოლოდ პრაქტიკული გამოცდილება და არ აქვს პროფესიული ან უმაღლესი განათლება.
აღმზრდელის პროფესიულ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალიდან პროგრამის განმახორციელებელი პირების ნაწილს წარმოდგენილი აქვს მხოლოდ სპეციალიზაციის მიმართულებით გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი, ხოლო ნაწილს მხოლოდ პედაგოგიური მიმართულებით გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი, სამუშაო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გამოცდილება არ უდასტურდება 6 მათგანს, ხოლო პედაგოგიური გამოცდილება არ უდასტურდება 11 მათგანს. ხოლო მოდულის ,,ჯანმრთელობა და უსაფრთხოება“ განმახორციელებელ პირს მხოლოდ უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი აქვს წარმოდგენილი.

საფინანსო სერვისების განმახორციელებელი პერსონალიდან პედაგოგიური გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი არ იყო წარმოდგენილი 1 პირზე.

ხარვეზი:

პროფესიული პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის კვალიფიკაციები არ შეესაბამება დაწესებულების მიერ შემუშაებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

საკვალიფიკაციო მოთხოვნებით;

პროფესიული პროგრამების დანართებით;

ხელშეკრულებებით;

პირადი საქმეებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

☐ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
■ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.3 პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
დაწესებლების მიერ წარმოდგენილ პროფესიული პროგრამების განმახორციელებელ პერსონალთან გაფორმებულ ხელშეკრულებების სათაურში არ არის დაზუსტებული ხელშეკრულება შრომითია თუ მომსახურების, თუმცა ხელშეკრულების შინაარსში გვხვდება ტერმინი შრომითი ხელშეკრულება. კოლეჯის იურისტის განმარტებით ხელშეკრულება შრომითია.
პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში არ არის განსაზღვრული შრომის კოდექსით განსაზღვრული შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობები - სამუშაო ადგილი და ანაზღაურებადი და ანაზღაურების გარეშე შვებულებების ხანგრძლივობა და შვებულების მიცემის წესი.
ასევე შრომით ხელშეკრულებებში არ არის მითითებული მოდული, რომლის განხორციელების ვალდებულება ეკისრება შრომითი ხელშეკრულებით პროფესიული განათლების მასწავლებელს.

ხარვეზი: პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება არ ითვალისწინებს შრომის კოდექსით განსაზღვრულ არსებით პირობებს (სამუშაო ადგილი და შვებულების ხანგძლივობა და მიცემის წესი);

რეკომენდაცია: პროფესიული პროგრამების განმახორციელებელ პერსონალთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში დაზუსტდეს რომელი მოდულის ან მოდულების განხორციელებაზე უფორმდებათ ხელშეკრულება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(რუსთავი, 2019)

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

წარმოდგენილი ხელშეკრულებებით;
ინტერიურებით;
შეფასება:

☐ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
■ ქვესტანდარტი დარღვეულია

VIII. პროგრამების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია

№	პროგრამის დასახელება	როფესიული განათლების საფეხური / დონე	მისანიჭებელი კვალიფიკაცია (სპეციალიზაციის / სწავლის დეტალური სფეროს კოდის მითითებით)	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის ქართულენოვანი სტუდენტებისათვის	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის რაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	პროგრამის განხორციელების მისამართი /მისამართები	სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა მისამართების მიხედვით)	ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების მიხედვით
1	ფლორისტიკა (მოდულური)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ფლორისტიკაში 0214	53	68	ქართული	ქ.რუსთავი, ბოსტან ქალაქის ქ N3	0	ქ.რუსთავი, ბოსტან ქალაქის ქ N3 - ?
2	აღმზრდელი (მოდულური)	მეხუთე საფეხური	მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში.	116	146	ქართული	ქ.რუსთავი, ბოსტან ქალაქის ქ N3	0	ქ.რუსთავი, ბოსტან ქალაქის ქ N3 - 30 (2 ცვლაში)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

			030255						
3	საფინანსო 7სერვისები (მოდულური)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია საფინანსო სერვისებში 0412	51	66	ქართული	ქ.რუსთავი, ბოსტან ქალაქის ქ N3	0	ქ.რუსთავი, ბოსტან ქალაქის ქ N3 - 30 (2 ცვლაში)
4	სასურსათო პროდუქტების წარმოება/ პურ – პროდუქტების წარმოება (მოდულური)	მეოთხე დონე	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სასურსათო პროდუქტების წარმოებაში 0721	85	115	ქართული	ქ.რუსთავი, ბოსტან ქალაქის ქ N3	0	ქ.რუსთავი, ბოსტან ქალაქის ქ N3- 20 (2 ცვლა)
5	სასურსათო პროდუქტების წარმოება/ ხორცპროდუქტების წარმოება	მეოთხე დონე	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სასურსათო პროდუქტების წარმოებაში 0721	85	115	ქართული	ქ.რუსთავი, ბოსტან ქალაქის ქ N3	0	ქ.რუსთავი, ბოსტან ქალაქის ქ N3 – 20 (2 ცვლა)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	(მოდულ ური)								

IX. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

13.11.2019

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



(რუსთავი, 2019)